# გუშინ მოსკოვში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ისვენებენ, ქაქლებიან

**ზაფხულის** დადგომისთანავე შავიზღვისპირეთის კურორტებს მრავალი დამსვენებელი სტუმრობს. სტუმრები არც აქაურ პიონერთა ბანაკებს აკლია. გუდაუთის პიონერთა ბანაკ „ინგურს" უკვე 300-ზე მეტი ბავშვი ეწვია. ისინი ძირითადად ენგურჰესის მშენებელთა შვილები არიან. მათს განკარგულებაშია კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ოთახები, დასვენების ზონა, აგრეთვე, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორი. იმ მრავალფეროვან და საინტერესო ღონისძიებებს შორის, რასაც ბანაკის დირექცია (დირექტორი კ. უგრეხელიძე) ატარებს, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას. აქ ხშირად ეწყობა სპორტული შეჯიბრებები და ტურისტული ლაშქრობები. ნორჩი დამსვენებლები უკვე ეწვივნენ რიწის ტბას, ახალი ათონის მღვიმესა და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს. ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის შვიდი სახეობა შედის.

**შ. დევნოზაშვილი.**

• • •

სურათებზე: ბანაკ „ინგურის" ცხოვრების ამსახველი მომენტები.

ავტორის ფოტოები.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 131 (6186)

1978 წ. 6 ივლისი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского. Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ვინ მოიპოვებს თასს?

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სსრ კავშირის თასის რიგით მეორე გათამაშების დასკვნითი ეტაპი — ორდღიანი ასპარეზობა ქვეყნის 4 უძლიერეს ხელბურთელთა გუნდს შორის. აი, ოთხეული, რომელიც გაითამაშებს საპატიო ჯილდოს: კაუნასის „გრანიტასი", კრასნოდარის „ბურევესტნიკი", ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" და თბილისის „ბურევესტნიკი".

პირველ დღეს საასპარეზოდ გამოვლენ თბილისელი და კრასნოდარელი თანაკლუბელები, აგრეთვე „გრანიტასი" და „ალუმინსტროი". მეორე დღეს გამარჯვებულები გაითამაშებენ თასის ფინალს, ხოლო დამარცხებულები — მესამე ადგილს. მატჩები 18 საათზე დაიწყება.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა თბილისის „ბურევესტნიკის" უფროს მწვრთნელს — საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ გ. მაჭავარიანს და გუნდის მწვრთნელს — საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ა. ლელაშვილს.

აი, რა გვითხრეს მათ:

— თასის წლევანდელ ასპარეზობაში ჩვენ უმაღლესი ლიგის 12 გუნდს შორის მესამე ეტაპიდან ჩავერთეთ. როგორც ხედავთ, ჯერჯერობით ცუდად არ გამოვდივართ. ჩვენი ახლანდელი მეტოქეები კაუნასის „გრანიტასი" და ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" საკმაოდ ძლიერი გუნდები არიან და მიმდინარე გათამაშებაში ლიდერთა შორის იმყოფებიან (იბრძვიან 1-6 ადგილისათვის). რაც შეეხება კრასნოდარის „ბურევესტნიკს" — იგი უმაღლესი ლიგის ახალბედაა. თასის დასკვნით ეტაპზე ხელბურთის მოყვარულები ვერ იხილავენ ქვეყნის ჩემპიონსა და მიმდინარე გათამაშების ლიდერს ცსკა-ს, აგრეთვე უძლიერეს კოლექტივებს — მოსკოვის „კუნცევოსა" და თასის შარშანდელ მფლობელს მაი-ს. პირველი ორი სწორედ ჩვენ გამოვთიშეთ გათამაშებიდან — არმიელებს თბილისში (29:25), ხოლო „კუნცევოს" ალიტუსში მოვუგეთ ანგარიშით 29:23. რაც შეეხება მაი-ს, იგი კრასნოდარის „ბურევესტნიკმა" დაამარცხა. მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდი წელს ჩემპიონატში შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდა — აკლდა 5 მოთამაშე და, სამწუხაროდ, პირველ ექვსეულში მებრძოლ გუნდებს შორის არ იმყოფება. ახლა ყველა დაგვიბრუნდა, ნაკრებში გაწვეული ა. ანპილოგოვისა და ა. ტაბიძის გარდა.





### მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

•



## ე. მაზურენკო და მ. ბირბიჭაძე — აბსოლუტური ჩემპიონები

**მართალია,** მაგიდის ჩოგბურთი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში არ შედის, მაგრამ ამას წინათ ფოთში გამართულმა საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის ფინალურმა შეჯიბრებამ მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია და კარგად მომზადებულ გუნდებსა და ნიჭიერ, პერსპექტიულ სპორტსმენებს მოუყარა თავი.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში მაგიდის ჩოგბურთის უპირველეს ცენტრად „ტრადიციულად" აჭარა ითვლება. სწორედ მზიურ ბათუმში დაოსტატდა ჩვენი ქვეყნისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სარქის სარხოიანი, მაგრამ იმის წანამძღვრები თუ საფუძვლები, რომ მაგიდის ჩოგბურთის გეოგრაფია ფართოვდება, ამ ტურნირზეც ნათლად გამოიკვეთა. აქ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ის სასიამოვნო სიურპრიზი, ნორჩმა ქუთაისელმა ოსტატებმა რომ შემოგვთავაზეს: რიონისპირელმა ჩოგბურთელებმა წინ მხოლოდ თბილისის ძლიერი კოლექტივი გაუშვეს და გუნდურ ჩათვლაში საპატიო მეორე ადგილი დაიკავეს. აჭარის სპორტსმენები ამჯერად მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა პირადი პირველობა. გოგონათა შორის რესპუბლიკის მოსწავლეთა საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება თბილისელმა ე. მაზურენკომ დაისაკუთრა, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლაში თანაქალაქელ მ. გიკავას სძლია.

ჭაბუკთა შორის უძლიერესი იყო ასევე თბილისელი მოსწავლე მ. ბირბიჭაძე. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად თ. მუშკუდიანი (ქუთაისი) და ა. მელაძე (აჭარა) გავიდნენ.

ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულებმა ე. მაზურენკომ და მ. ბირბიჭაძემ წყვილთა შეხვედრებშიც გამოიჩინეს თავი.

გოგონათა წყვილების ფინალში გამარჯვება იზეიმეს ე. მაზურენკომ და ი. კაჯოევამ. ჭაბუკთა შორის საუკეთესო თამაში აჩვენა მ. ბირბიჭაძე — კ. საგოიანის (აჭარა) წყვილმა და საბოლოოდ გამარჯვებაც ამ დუეტს დარჩა.

ბოლოს არ შეიძლება მადლობის სიტყვები არ ითქვას ტურნირის ორგანიზატორთა და მსაჯთა მისამართით, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას.

**ს. ანანიკოვი.**

## ჭადრაკი

### წარმატებათა დღე

**დაუგავპილსი,** 5 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის მასობრივ ტურნირში, რომელშიც 64 მოჭადრაკე მონაწილეობს, გუშინ V ტური გაიმართა.

წარმატებით ითამაშეს ოსტატმა ზ. სტურუამ და ოსტატობის კანდიდატმა დ. გედევანიშვილმა. პირველმა დაამარცხა ოსტატი ა. კუდრიაშოვი (აშხაბადი), მეორემ — ოსტატი ვ. კოზლოვი (არხანგელსკი). დიდოსტატი ე. გუფელდი და საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი გ. ზაიჩიკი შეხვდნენ ერთმანეთს და ყაიმს დასჯერდნენ.

5 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ლენინგრადელი ოსტატი ვ. ფაიბისოვიჩი — 4,5 ქულა. გედევანიშვილს 3 ქულა აქვს, გუფელდს, ზაიჩიკს — 2,5-2,5, სტურუას — 2.

სათამაშოა კიდევ 8 ტური.

### გიწვევთ საპაექროდ

**სამტრედიის** რაიონული გაზეთის „წინსვლის" რედაქციისა და ამავე რაიონის სპორტკომიტეტის თაოსნობით 1 სექტემბერს დაიწყება საქართველოს I ჩემპიონატი ჭადრაკის მიმოწერით თამაშში. იგი 1980 წლის 1 იანვრამდე გასტანს.

შეჯიბრებაში სათამაშოდ ვიწვევთ ოსტატებს, ოსტატობის კანდიდატებს (ისინი პირდაპირ ფინალში დაიშვებიან), პირველ, მეორე და მესამეთანრიგოსან მოჭადრაკეებს. ჩემპიონატი სამსაფეხურიანია (მეოთხედფინალები, ნახევარფინალები, ფინალი). მონაწილეებს შეეძლებათ თანრიგის ამაღლება და დამტკიცება.

მოჭადრაკეებმა, რომელთაც სურთ ჩემპიონატში მონაწილეობა, წინასწარ უნდა შეიტანონ საწევრო გადასახადი (2 მანეთი) შემდეგ მისამართზე: სამტრედია, სახბანკის სამტრედიის განყოფილება, ანგარიში № 60912.

მონაწილეობისთვის საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. განცხადება, მოკლე საჭადრაკო ბიოგრაფიით, 2. თანრიგის ცნობა ადგილობრივ სპორტკომიტეტში დამტკიცებული, 3. ქვითარი საწევროს შეტანის შესახებ. ყველაფერი ეს უნდა გაიგზავნოს მისამართით: 384200. სამტრედია, ლენინის ქ. 111. ი. მაჩიტაძე.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი ყველა მონაწილეს გაუგზავნის ჯგუფის ნომერს, მონაწილეთა სიას ბინის მისამართებით. ჩემპიონატი ჩატარდება საკავშირო საჭადრაკო კოდექსის მიხედვით (მიმოწერითი თამაშის წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ თ. გიორგაძის წიგნში „ვიდრე ჭადრაკს მიუსხდებით". თბილისი, 1974 წ. გვ. 90 — 105).

აქვე უნდა ვთქვათ, რომ მონაწილეს, რომელიც არასაპატიო მიზეზით მიატოვებს ჩემპიონატს, ჩამოაკლდება თანრიგი და დისკვალიფიცირებული იქნება ორი წლით.

ვფიქრობთ, რომ ჩემპიონატში თამაში ხელს შეუწყობს მისი თითოეული მონაწილის საჭადრაკო ძალის ზრდას და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

**ა. მაჩიტაძე,**
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.





## დინამოელთა პირველი...

**თბილისის** „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამ საზოგადოების 14-15 წლის მოზარდ მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელიც დინამოელებისთვის ახალ ბაზაზე პირველი ასპარეზობა გახლდათ.

მისასალმებელია, რომ ისეთ აღიარებულ კოლექტივებს, როგორებიც თბილისის, აჭარის, აფხაზეთის და ქუთაისის გუნდებია მძაფრი მეტოქეობა გაუწიეს წყალტუბოელებმა. ისინი თბილისის ნაკრებს, რომელმაც 80 ქულა მოაგროვა და გაიმარჯვა, მხოლოდ ქულით ჩამორჩნენ. III ადგილზეა აჭარის ნაკრები — 72 ქულა.

პირად პირველობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელი გოგონას, ახლო წარსულში ცნობილი სპორტსმენების ლ. და მ. ტულუშების ქალიშვილის, მარინეს წარმატება ბადროს ტყორცნასა (42,50 მ) და ბირთვის კვრაში — 11,02. გოგონებში სიგრძეზე ხტომა მოიგო ქუთაისელმა ც. კალაძემ. წყალტუბოელმა მ. ცუხიშვილმა იმარჯვა 800 მეტრზე, მისმა თანაგუნდელებმა ა. გურეშიძემ და გ. კიზირიამ—3000 მეტრზე სირბილში და სიგრძეზე ხტომაში.

* * *

**სურათებზე:** ბირთვს კრავს მ. ტულუში; სიგრძეზე ხტება ც. კალაძე.

გ. დოლენჯაშვილის ტექსტი და ფოტოები.

**მძლეოსნობა**

---

სპორტის პროპაგანდისტ-ლექტორთა დასახმარებლად

# „მოსკოვი-80“

**5). მოსკოვი — 80.** ეს განაყოფი ლექციის ძირითადი ნაწილია, ამიტომ იგი ცალკეული ასპექტების მიხედვით უნდა გადაიცეს.

**პოლიტიკური ასპექტი.** 1974 წლის 23 ოქტომბერს სოკ-ის 75-ე სესიამ, რომელიც ვენაში გაიმართა, მიიღო გადაწყვეტილება XXII ოლიმპიური თამაშების მოსკოვში ჩატარების შესახებ. ეს ფაქტი თავისთავად წარმოადგენდა არა მარტო საბჭოთა სპორტის საერთაშორისო აღიარებას, არამედ, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ავტორიტეტის გამარჯვებას. ასეთი იყო პროგრესული წრეების აზრი, მაგრამ ყველა ასე როდი მსჯელობდა. ამერიკელი ვილიამ ბოკლი „ვაშინგტონ პოსტში“ წერდა, რომ რუსები ამ ოლიმპიადას მათთვის მოძულე ქვეყნების დისკრიმინაციისათვის გამოიყენებენო, კანადის რეაქციული გაზეთი „მონრეალ სტარი“ კი უტიფრად აცხადებდა, რომ XXII ოლიმპიური თამაშების ჩატარებით მოსკოვი იმავე მიზანს ისახავს, რასაც ბერლინი 1936 წელს XI ოლიმპიური თამაშების ჩატარებით ისახავდაო.

დასამალი არაა, რომ მოსკოვის თამაშების ორგანიზატორებს გადასაწყვეტი აქვთ ზოგიერთი პოლიტიკური ხასიათის პრობლემა, მაგრამ ყველა მათგანი წყდება დადებითად, ჰუმანური და სამშვიდობო პოლიტიკის პოზიციებიდან; ასე მაგალითად: მოსკოვში ჩამოვლენ სპორტსმენები 28 ქვეყნიდან, რომლებთანაც სსრ კავშირს არა აქვს დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა. მათ შორის არიან ჩილე, ისრაელი, სამხრეთ აფრიკის კავშირი, როდეზია, ტაივანი და სხვანი. მაგრამ საბჭოთა მთავრობა მათაც უხსნის კარებს და რაიმე დისკრიმინაციას, ცხადია, არ ექნება ადგილი.

XXII ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ მიუნხენის რადიოსადგურებმა ოლიმპიადის ჩატარების დღეებში მაინც შეწყვიტონ ანტისოციალისტური გამოხდომები. აშშ-ს მთავრობა კი, პირიქით, მოითხოვს, რომ ეს საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ამერიკის ოლიმპიურმა გუნდმა უარი თქვას მოსკოვში ჩამოსვლაზეო. ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების მსგავსმა შემოტევებმა იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ სოკ-ის თავმჯდომარე ლორდი კილანინი იძულებული იყო 1976 წლის ნოემბერში მოსკოვს სწვეოდა. იგი მალე დარწმუნდა, რომ ჩვენი ქვეყანა სოკ-ისადმი მიცემულ გარანტიებს ცხოვრებაში გაატარებს.

**სპორტული ასპექტი.** ოლიმპიადის დღეებში მოსკოვში ჩამოვა დაახლოებით 12 ათასი მონაწილე 125-130 ქვეყნიდან. თამაშები გაიხსნება 1980 წლის 19 ივლისს და გასტანს 3 აგვისტომდე. თამაშების პროგრამაში შედის: კალათბურთი, კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, ძიუდო, ველოსპორტი, ფრენბურთი, ტანვარჯიში, აკადემიური ნიჩბოსნობა, შეჯიბრება ბაიდარებითა და კანოეებით, ცხენოსნობა, მძლეოსნობა, აფროსნობა (ჩატარდება ქ. ტალინში), ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ხელბურთი, თანამედროვე ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, სროლა, ძალოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, ბალახის ჰოკეი; ე. ი. შეჯიბრებები ჩატარდება 24 სახეობაში და მათში შემავალ 203 სპორტულ დისციპლინაში.

გაიცემა 150 ჯილდო პირად პირველობაში გამარჯვებულთათვის (მათ შორის 34 ქალისათვის), გუნდური შეჯიბრებები ჩატარდება 53 დისციპლინაში (მათს შორის 16 ქალთათვის). სულ გაიცემა 203 ჯილდო. ყველაზე მეტი მედალი დაწესებულია მძლეოსნობაში (38), ცურვაში (31), ჭიდაობაში (20), და ა. შ.

ოლიმპიურ თამაშებს მოსკოვში მოემსახურება 3500 მსაჯი, მათს შორის 800 ჩამოვა უცხოეთიდან.

მოსკოვის თამაშებისათვის საბჭოთა სპორტსმენების მზადების გენერალური რეპეტიცია იქნება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა. საინტერესოა, რომ ამ სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია 2000 სპორტსმენი საზღვარგარეთიდან.

**ორგანიზაციული ასპექტი.** „მოსკოვი — 80“-ის საორგანიზაციო კომიტეტი 1975 წლის მარტიდან შეუდგა მუშაობას. მას სათავეში უდგას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ნოვიკოვი. კომიტეტს ძალზე დიდი უფლებები აქვს მინიჭებული. იგი ახორციელებს კონტროლს სპორტული ბაზების მშენებლობაზე, ღონისძიებების ჩატარებაზე, ამყარებს კავშირს ქვეყნის სხვადასხვა სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან. კომიტეტის მოვალეობას შეადგენს სხვადასხვა საინფორმაციო მასალების გამოცემა, იგი ამყარებს კავშირს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან და ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციებთან, დებს მათთან საჭირო კონტრაქტებს. იგი აწესრიგებს ოლიმპიადისთვის მზადების ფინანსურ მხარეებს, უშვებს კინოფილმებს, პლაკატებს, ღია ბარათებს, მედლებს, ნიშნებს, ატარებს ოლიმპიურ ლატარიას, ჰყიდის ტელეგადაცემების უფლებებს, ბილეთებს და ა. შ.

კომიტეტთან შექმნილია 20 კომისია: ბაზების მშენებლობის, მონაწილეთა მიღების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ტრანსპორტის, საფინანსო, შეჯიბრებების ორგანიზაციის, კავშირგაბმულობის, ინფორმაციისა და პროპაგანდის და სხვ.

საგულისხმოა, რომ კომიტეტის კონცეფციების დამუშავებაში მონაწილეობას იღებს 100-ზე მეტი სამინისტრო, უწყება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, 300-ზე მეტი სხვა დაწესებულება.

ეს ყველაფერი გვარწმუნებს იმაში, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშები მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდება.

**ეკონომიური ასპექტი.** ოლიმპიური თამაშების ჩატარება საერთოდ დიდ სახსრებთანაა დაკავშირებული, მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტის მოქნილი მუშაობის წყალობით შეიძლება ამ ხარჯების გადაფარვა და გარკვეული მოგების მიღებაც. დავასახელებთ ზოგიერთ საგულისხმო ფაქტს: მოსკოვის თამაშებისათვის, უკვე გამოსადეგი ბაზების გარდა, 11 დიდი ბაზა არსებით რეკონსტრუქციას საჭიროებს, ამდენივე კი საერთოდ თავიდანაა ასაშენებელი; ჯერ მარტო ამ სამუშაოებისათვის 300 მილიონი მანეთია გასაღები.

მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტს გააჩნია საგრძნობი შემოსავალიც შემდეგი წყაროების სახით: სპორტლოტოსა და ლატარია-სპრინტის გათამაშებით მიღებული სახსრები, სპეციალური მონეტებისა და სიმბოლოების გაყიდვა (აქვე შევნიშნავთ, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ემბლემის ავტორი გახლავთ ლატვიის ქალაქ რეზეკნეს მკვიდრი ვლადიმერ არსენტიევი, რომელმაც გაიმარჯვა 26000 ესკიზის ავტორთა კონკურსში), თამაშების ტელეტრანსლიაციის უფლებების გაყიდვა, „ოლიმპიადა-80“-ის ემბლემების კომერციული გამოყენება, საგამომცემლო საქმიანობით მიღებული შემოსავალი, ოლიმპიური მარკების გაყიდვა, ბილეთების გაყიდვა, სადაზღვევო შემოსავალი, თამაშებისთვის ინვენტარისა და მოწყობილობის დადგმის უფლების გაყიდვა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საწევროები. შემოსავალში შედის აგრეთვე, ნებაყოფლობითი შენატანები სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პიროვნებების მიერ, სპეციალური შაბათობების, მხატვრული ბრიგადების გამოსვლებისა და სხვა ნებაყოფლობითი ღონისძიებების შემოსავალი.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს: მოსკოვის თამაშების ტელეგადაცემების უფლებისათვის აშშ-ს კომპანია ეი-ბი-სიმ გადაიხადა 35 მილიონი დოლარი, აქედან 12.633.333 დოლარი სოკ-ისაა, 22.366.667 დოლარი კი შემოდის მოსკოვის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ფონდში.

ეი-ბი-სი ტელეგადაცემების ტექნიკური ბაზის მოწყობისათვის კომიტეტს წინასწარ დამატებით უხდის 50 მილიონ დოლარს. არ უნდა გაგვაკვირვოს ამ დიდმა ციფრებმა. ოთხი წლის წინ, მონრეალის თამაშების გადაცემების პროგრამაში ეი-ბი-სიმ ჩართო თითოწუთიანი სარეკლამო გადაცემები და წუთში, ე. ი. თითო რეკლამაში დაახლოებით 170 ათას დოლარს იღებდა. საათში იგი აწყობდა 6 წუთ-რეკლამას და საბოლოოდ მარტო ამ ღონისძიებიდან 40 მილიონი დოლარი ჩაიჯიბა. მოსკოვის ოლიმპიადას ეს ტელეკომპანია 150 საათს უთმობს. ახლა განსაჯეთ, რა კოლოსალურ მოგებას ელის იგი ამ ღონისძიებიდან.

**მოსკოვი ემზადება.** ოლიმპიური მშენებლობა მოსკოვის განვითარების გენერალური გეგმის ნაწილია. თუ ამჟამად მოსკოვის სასტუმროებს ერთდროულად შეუძლიათ მიიღონ 50000 სტუმარი, ოლიმპიადის დღეებში მათი გამტარუნარიანობა 300 ათასამდე გაიზრდება. შენდება ოლიმპიური სოფელი მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში 12 ათასი მონაწილისათვის. იგი 107 ჰექტარს დაიკავებს. ამასთან, ოლიმპიური სოფელი სულ რაღაც 10 წუთის სავალზე იქნება ძირითად სპორტულ კომპლექსიდან.

რაც შეეხება სპორტულ ბაზებს, გაანგარიშებულია, რომ XXII ოლიმპიურ თამაშებს დასჭირდება დაახლოებით 90 სხვადასხვა მასშტაბის სპორტული ობიექტი. მშვიდობის პროსპექტზე შენდება მსოფლიოში ყველაზე დიდი დახურული სტადიონი. ბიტცევის ტყეპარკში შენდება საცხენოსნო ბაზა 20 ათასი მაყურებლისთვის, კრილატსკის რაიონში შენდება დახურული ველოდრომი 6 ათასი მაყურებლისთვის, ლენინგრადის პროსპექტზე შენდება მძლეოსნური და საფეხბურთო მანეჟი, იზმაილოვის რაიონში ჩქარა დამთავრდება უნივერსალური სპორტდარბაზი (35×25 მ.), უფრო დიდი მოცულობისა იქნება დარბაზი ლავოჩკინის ქუჩაზე, იქვე შენდება ორი დამატებითი დარბაზი 42×24 მ. ზომისა, განახლდება იზმაილოვის რაიონში სამამულო ომის დროს მიტოვებული სტადიონის მშენებლობა; მიმდინარეობს არსებული ბაზების, მათ შორის, ლუჟნიკისა და „დინამოს“ სტადიონების რეკონსტრუქცია.

თამაშების გახსნა-დახურვის ცერემონიალი მოეწყობა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. აქვე ჩატარდება შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ცხენოსნობაში (ეროვნებათა პრიზზე), ფეხბურთში, ტანვარჯიშში, ძიუდოში, წყალბურთსა და ფრენბურთში.

ყველა ეს ბაზა უშუალოდ შეჯიბრებებისათვისაა გათვალისწინებული, რაც შეეხება მონაწილეთა სავარჯიშო ბაზას, ამისათვის დამატებით გამოყოფილია კიდევ 80 სპორტული ობიექტი. მშენებლობის პროცესში გათვალისწინებულია საუკეთესო პირობების შექმნა თამაშების მსვლელობის გაშუქებისათვის. თამაშები გადაიცემა 20 ფერადი პროგრამით 5 კონტინენტისათვის. გავიხსენოთ, რომ მიუნხენში გადაცემა სწარმოებდა 13, ხოლო მონრეალში 17 პროგრამით. შენდება ახალი ტელეცენტრი 20 სააპარატო-პროგრამული ბლოკით; ლუჟნიკიდან 10 წუთის სავალზე შენდება პრეს-ცენტრი, სპორტულ სარბიელებზე კი მოეწყობა 30 სუბპრეს-ცენტრი. აღსანიშნავია ისიც, რომ ოლიმპიადის დღეებში დაგეგმილია მოსკოვში ყველა რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლები.

დასასრულ, უნდა შევახსენოთ ლექტორებს, რომ სასურველია ლექციის ტექსტში, ზემოთქმულის გარდა, ჩართონ ადგილობრივი მასალებიც და ოლიმპიადის მზადების პრობლემებთან ერთად გააშუქონ ადგილობრივი სპორტული მოძრაობის პრობლემებიც. მოსკოვის ოლიმპიური თამაშები ხომ ტარდება დევიზით — „ოლიმპიადა არა მარტო ოლიმპიელთათვის!“

**ავთანდილ ციბაძე,**
**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, დოცენტი.**

**დასასრული. იხ. „ლელო“ № 129.**

---

# განა ეს არის რეზერვი?

**იუნიორ** მძლეოსანთა წლევანდელ საკავშირო პირველობაში 1959-60 წლებში დაბადებულებმა უნდა იასპარეზონ. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების დასაკომპლექტებლად ამ ასაკის სპორტსმენთა საუწყებო შეჯიბრება თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა და ნათლად დაგვანახა, რომ არც ერთ სპორტსაზოგადოებაში, არც ერთ უწყებაში საქმე სახარბიელოდ არ არის. მარტო ის ფაქტიც კმარა, რომ ბრძოლაში მხოლოდ „კოლმეურნე“, „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“ და „შრომითი რეზერვები“ ჩაებნენ. „დინამომ“ და „ლოკომოტივმა“ შეჯიბრებას საერთოდ თავი აარიდეს. „განთიადს“ იმ პერიოდში თავისი მძლეოსნები პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების საკავშირო ტურნირში სიასპარეზოდ ჰყავდა გაგზავნილი. მაგრამ ეს სულაც არ არის საპატიო მიზეზი.

სრული კოლექტივების შეკრება იმ სპორტსაზოგადოებებმაც კი ვერ შეძლეს, რომლებიც ბრძოლაში ჩაებნენ, ამიტომაც ზოგ სახეობებში სარბიელზე თითო ათლეტი გამოდიოდა, ზოგში საერთოდ მონაწილე არ იყო და, ცხადია, ჩემპიონის ტიტულიც გაუთამაშებელი დარჩა.

გუნდური გამარჯვებისთვის ბრძოლა „ბურევესტნიკსა“ და „კოლმეურნეს“ შორის გაიმართა. სტუდენტებმა 10 პირველი ადგილი მოიგეს, სოფლის სპორტსმენებმა 6 სახეობაში იმარჯვეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც უძლიერესნი აღმოჩნდნენ, ვინაიდან „კოლმეურნის“ ორმა ხუთჭიდელმა იმდენი ქულა მოაგროვა, რამდენიც გუნდური გამარჯვებისათვის იყო საჭირო.

მეტოქეთა ძალთა შეფარდება კარგად ჩანს ორდღიანი ასპარეზობის შედეგებიდან: „კოლმეურნემ“ 13 382 ქულას მოუყარა თავი, „ბურევესტნიკმა“ — 9258 ქულას. შემდეგ მოდიან „სპარტაკი“ — 3589 და „შრომითი რეზერვები“ — 3326.

ტურნირში ერთადერთი კარგი შედეგი აჩვენა დინამოელმა სიმაღლეზე მხტომელმა გ. სავჩენკომ, რომელიც პირად შეჯიბრებაში ცდიდა ძალას. იგი 210 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო. ჩემპიონებმა კიდევ ექვსი პირველი თანრიგის ნორმატივის შესრულებით იმარჯვეს. ესენი არიან: უროს მტყორცნელი თ. დათაძე — 56,06, ჭოკით მხტომელი გ. პენინი — 440 სმ, 400 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებული ვ. მითაგვარია — 55,7, შუბის ტყორცნაში საქართველოს რეკორდსმენი ს. გუნბა (ველა — „ბურევესტნიკი“) — 48,60, სპარტაკელი სიმაღლეზე მხტომელი ე. გოლოვკოვა (170) და სამხტომში უძლიერესი ბ. კოვალსკი („კოლმეურნე“) — 15,11 მ.

სხვა ჩემპიონები II თანრიგის შედეგებით გამარჯვებას დაკმაყოფილდნენ. შესაძლოა ეს მაჩვენებლებიც არ ყოფილიყო, რომ ტურნირი მძლეოსნობაში საკავშირო თასის — გაზეთ „იზვესტიას“ პრიზების რესპუბლიკური გათამაშების პარალელურად არ გამართულიყო. უფროსებთან ბრძოლამ კი იუნიორთა შედეგებზე უდაოდ დადებითი გავლენა მოახდინა.

სხვა სახეობებში იუნიორთა შორის საქართველოს ჩემპიონები გახდნენ:

**ქალიშვილები.** **რბენა. 100 მ.** ა. კუროვსკაია („ბურევესტნიკი“) — 12,8, **200 მ.** ვ. ლობაჩოვა („შრომითი რეზერვები“) — 28,2. **100 მ. თარჯრბენი.** მ. აბზიანიძე („კოლმეურნე“) — 15,7, **ბადროს ტყორცნა.** მ. ლაზარაშვილი („ბურევესტნიკი“) — 45,60. **ბირთვის კვრა.** დ. ჭინჭარაული („სპარტაკი“, „კოლმეურნე“) — 12,65. **ხუთჭიდი.** ლ. სანჟაპოვა („კოლმეურნე“) — 3017 ქულა; **სიგრძეზე ხტომა.** გ. ქორფაშვილი („სპარტაკი“) — 541.

**იუნიორები.** **რბენა. 100 მ.** [illegible] ებილაშვილი („კოლმეურნე“) — 11,4, **200 მ.** ა. შირიაკოვი („შრომითი რეზერვები“) — 22,7, **400 მ.** ნ. ველი-ოღლი („სპარტაკი“, „კოლმეურნე“) — 51,6, **800 და 1500 მ.** ი. კოსიხი — 1.58,6 და 4.03,2. **110 მ. თარჯრბენი.** ლ. ბლიაძე (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 16,0. **ესტაფეტა 4X100 მ.** „შრომითი რეზერვები“ — 44,4. **სიგრძეზე ხტომა.** მ. გოგია (ბურევესტნიკი“) — 660. **შუბის ტყორცნა.** თ. ზვიადაური — 61,88, **ბირთვის კვრა.** ე. ლონლაძე (ორივე — „კოლმეურნე“) — 13,88.

სხვა სახეობებში შეჯიბრებები არ ჩატარებულა.

**მ. სამადაშვილი,**
**ე. ზველიძე.**

## სსრ კავშირის თასი — „იზვესტიის“ პრიზი

# ამჯერად ორი გუნდით

**მძლეოსნობაში** სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის“ პრიზის გათამაშება კოლექტივებში იწყება, რამდენიმე ეტაპად ტარდება და ბოლოს, ფინალურ ტურნირში მხოლოდ უძლიერესი ქალაქების გუნდები იყრიან თავს.

ჩვენი რესპუბლიკიდან თასისთვის ბრძოლის შემდგომ ეტაპში მონაწილე კოლექტივები ამ დღეებში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ ზონალურ ასპარეზობას უნდა დაესახელებინა. ორი საგზურისთვის დედაქალაქის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის, რუსთავისა და გორის გუნდები ასპარეზობდნენ. მათ დავაში უკონკურსოდ ჩაერივნენ ეთიოპიელები, რომლებიც სრულიად აფრიკის III თამაშებისთვის თბილისში ემზადებოდნენ.

როგორც ცნობილია, რამდენიმე ეთიოპიელი ჩვენს დედაქალაქში გამართულ „პრავდის“ პრიზების საერთაშორისო გათამაშებაში მონაწილეობისთვის ჩამოვიდა. გუნდის ხელმძღვანელობას მოეწონა „დინამოს“ სტადიონის ბილიკები დ სექტორები და სტარტებისთვის აქ მზადების ნებართვა ითხოვეს, რის შემდეგ გუნდის სხვა წევრებსაც თბილისში მოუყარეს თავი.

შეჯიბრებაში გამოსვლის სურვილი გამოთქვეს პოლონელებმაც, რომლებიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის სტუმრები არიან.

ეცხოელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავიანთი მონაწილეობით ტურნირს სიმწვავე შემატეს. ისინი (განსაკუთრებით ეთიოპიელები) რბენებში მუდამ ასპარეზობის ტონის მიმცემნი აღმოჩნდნენ. ამან მასპინძელთა მაღალ შედეგებს შეუწყო ხელი. პროგრამის უკანასკნელ სახეობაში — ვაჟთა შორის 800 მეტრზე რბენაში ქუთაისელმა მ. შაპოვალოვმა (1.52,5) სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. ფინიშთან კი პირველი მივიდა ეთიოპიელი ტ. მულუგეტა — 1.51,7.

რეკორდს ელოდნენ 1500 მეტრზე რბენაში. მაგრამ ვ. ტაკედესა (3.44,5) და ნ. სიიუმას (ორივე — ეთიოპია) — 3.46,0 ტემპს მასპინძლებმა ველარ გაუძლეს: შაპოვალოვი ტრასიდან გამოვიდა, თბილისელმა ი. ციგულიოვმა კი 3.50,6 აჩვენა.

ვაჟების 400 მეტრზე რბენაშიც I-III ადგილები სწორედ სტუმრებმა დაიკავეს. მ. ტას-ფინმ 48,5 წამი აჩვენა, გ. აბარამ (ორივე — ეთიოპია) — 48,6, ვ. სტარუხამ (პოლონეთი) — 49,0. საქართველოს მძლეოსანთა საუკეთესო სამეული კი ასეთია: ა. ხრომოვი (თბილისი) — 49,2, ა. იავალოვსკი (თბილისი, პირადი) — 49,3, რ. ქობულაძე (ქუთაისი) — 51,0. 4×400 მეტრზე ესტაფეტაში თბილისის კვარტეტს (3.17,2) ეთიოპიელებმა 3,8 წამით მოუგეს.

საქართველოს მორბენლებს იქნებ არ შესწევდათ უფრო მაღალი შედეგების მოპოვების ძალა? ამის თქმის უფლება არ გვაქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელ მეორე საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში ჩვენმა მძლეოსნებმა უკეთეს შედეგებს მიაღწიეს, ვიდრე ახლა ეთიოპიელებმა. მაშასადამე, ჩვენი სპორტსმენები, მწვრთნელები, ურიგდებიან ერთხელ მოპოვებულ წარმატებებს და ახალ სეზონში ადრინდელი შედეგების გაუმჯობესებისთვის კი არ იბრძვიან, არამედ ყველაფერს თავიდან იწყებენ.

ეთიოპიელები ქალთა შეჯიბრებებშიც გამოირჩეოდნენ. მაგალითად, 800 მეტრზე რბენაში „იზვესტიის“ პრიზის გათამაშებაში გამარჯვებულ ნ. ზაბოეკოს (ქუთაისი) — 2.25,6 ეთიოპიელმა გ. ამსალემ 10,4 წამით აჯობა, თუმცა სარბიელზე ლ. წინწალაშვილი და ნ. ჭალიაშვილი, რომ გამოსულიყვნენ

### მძლეოსნობა

შესაძლოა სხვაგვარი სურათი ყოფილიყო.

როცა ამ ფაქტებზე ვლაპარაკობთ, მასპინძლების თავმოყვარეობას კი არ ვლახავთ, არამედ გვინდა ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ ეთიოპიელ მორბენალთა მონდომებას.

დიახ, სპორტში წარმატება მხოლოდ ხანგრძლივი, დაუღალავი წვრთნით მოდის, ისე როგორც ამას მიაღწია ვ. სანეევმა, როგორც ამას აღწევენ ბადროს მტყორცნელი ნ. ლაბაძე, სიმაღლეზე მხტომელი გ. სავჩენკო და კიდევ ორიოდე ათლეტი.

საქართველოს სპორტის მოყვარულებმა „ლელოს“ საშუალებით კარგად იციან, რომ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სანეევი, რომელმაც მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადება სპეციალური გეგმით დაიწყო, თანაქალაქელთა წინაშე „პრავდის“ პრიზების საერთაშორისო გათამაშებაში ფეხის ტკივილის გამო ვერ გამოვიდა. მაშინ ამის აუცილებლობა არც იყო. ახლა კი ძალა სცადა პირად პირველობაში. ცხადია, მას გამარჯვება არ გაუჭირვებია — 16,46 მ. (ეს სპორტის ოსტატის ნორმატივს ბევრად აღემატება). კარგად გამოვიდა თბილისის გუნდის წევრი ა. სხირტლაძეც. — 15,68 მ. (სპორტსმენის პირადი რეკორდი). მის გარდა I თანრიგის ნორმატივს გადაამეტეს მ. ფრიდმანმა, ვ. მოზგოვოიმ და ბ. კოვალსკიმ (ყველა — თბილისი).

ბადროს ტყორცნაში შედეგებს შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აუმჯობესებს ნ. ლაბაძე (თბილისი). ამ ასპარეზობაში მისი ბადრო ზუსტად 62 მეტრზე დაეცა.

— წლეულს ჩვენი მთავარი მიზანია ნათელამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულოს. არ ვიცით სად მოხდება ეს — საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც თბილისში აგვისტოში გაიმართება, საკავშირო პირველობაზე, რომელსაც სექტემბერში ჩვენი დედაქალაქი უმასპინძლებს, თუ სხვაგან... ამ მიზნის მისაღწევად გეგმაზომიერად, ყოველგვარი აჩქარების გარეშე ვმუშაობთ. მერე უშუალოდ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებას დავიწყებთ, — გვეუბნება ლაბაძის მწვრთნელი გ. ჩადუნელი.

კიდევ ერთი სპორტსმენი, რომლის შექება შეიძლება, თბილისელი რ. ბაირამოვი იყო. მან სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმას გადაამეტა შუბის ტყორცნაში — 71,10.

შესაძლოა ოსტატის კიდევ ორიოდე შედეგი ყოფილიყო, რომ სარბიელზე მ. ალიაკრინსკაია, ჯ. ფხაკაძე და ნ. ნაზლაიძე გამოსულიყვნენ, მაგრამ ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ. გუნდურ შეჯიბრებაში თბილისელებმა 289 ქულა მოაგროვეს და „იზვესტიის“ თასის საკავშირო ასპარეზობის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მიიღეს. მათ[illegible] გავიდნენ [illegible] (260). მომდევნო [illegible] თავის (148), ბათუმის (97), სოხუმის (86), ცხინვალისა (51) და გორის (28) კოლექტივებს.

გაგაცნობთ პირად ტურნირში სხვა გამარჯვებულებს. **ქალები. რბენა. 100 მ.** ო. ვიქტოროვა (აფხაზეთი) — 12,3; **200 მ** ნ. პოლიაკოვა (რუსთავი) — 25,8; **400 მ.** ზ. გუჩმაზოვა (ცხინვალი) — 1.00,4; **1500 მ** ლ. მაკაროვა (ქუთაისი) — 5.13,4; **3000 მ.** რ. ინდუაშვილი (თბილისი) — 11.28,8. **ესტაფეტა. 4×100 მ.** აფხაზეთი — 50,2; **4×400 მ.** ქუთაისი — 4.14,8. **100 მ. თარჯრბენი.** ლ. შალიგინა (რუსთავი) — 15,5. **სიგრძეზე ხტომა.** თ. კლდიაშვილი (თბილისი) — 565. **სიმაღლეზე ხტომა.** ი. ჩოგოვაძე (ქუთაისი) — 150. **ბირთვის კვრა.** ნ. ლაბაძე (თბილისი) — 14.32.

**ვაჟები. რბენა 100 და 200 მ.** ბ. ბატანაგოვი (ქუთაისი) — 11,0 და 22,5; **800 მ.** ზ. ლორთქიფანიძე (ბათუმი) — 2.10,6; **8000 მ.** მ. გურეშიძე (ქუთაისი) — 10.44,6; **5000 მ.** ო. ბესედინი (თბილისი, პირადი) — 14.50,0; **10000 მ.** ე. ტატურაშვილი (რუსთავი) — 34.01,2. **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 42,7. **თარჯრბენი 110 მ.** ს. კრასნოკუტსკი (თბილისი) — 15,3; **400 მ.** რ. ქობულაძე (ქუთაისი) — 56,8; **სიმაღლეზე ხტომა.** გ. ტიტარჩუკი (თბილისი, პირადი) — 195. **სიგრძეზე ხტომა.** ვ. ჩუკანოვი (თბილისი, პირადი) — 735. **ჭოკით.** ს. შანეუკოვი (თბილისი) — 420. **ბადროს ტყორცნა.** ვ. ბერიშვილი (თბილისი, პირადი) — 42,02. **უროს ტყორცნა.** გ. ბედოშვილი (თბილისი) — 61,33. **ბირთვის კვრა.** თ. ნაცვალაძე (თბილისი) — 15,02.

**ო. გელაშვილი.**

---

## ფეხბურთი

# სსრ კავშირის თასზე

**4 ივლისს** მოსკოვში შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი).

დონეცკელებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება — 2:0.

### მეორე ლიგა

II ლიგის IV ზონაში 23 ივლისამდე შესვენებაა. ტურნირში მონაწილე საქართველოს გუნდების შემდგომი კალენდარი ამ თვეში ასეთია:

**28 ივლისი;** „შირაკი“ — „დინამო“ (ბათუმი), ფიზკულტურის ინსტიტუტი — „დინამო“ (სოხუმი), „კოტაიკი“ — „გურია“, „ყარაბახი“ — „ლოკომოტივი“, „ხაზარი“ — „დინამო“ (ზუგდიდი), „არაზი“ — „დილა“.

**27 ივლისი.** „შირაკი“ — „დინამო“ (სოხუმი), ფიზკულტურის ინსტიტუტი — „გურია“, „კოტაიკი“ — „დინამო“ (ბათუმი), „ყარაბახი“ — „დილა“, „ხაზარი“ — „ლოკომოტივი“, „არაზი“ — „დინამო“ (ზუგდიდი).

**30 ივლისი.** „შირაკი“ — „გურია“, ფიზკულტურის ინსტიტუტი — „დინამო“ (ბათუმი), „კოტაიკი“ — „დინამო“ (სოხუმი), „ყარაბახი“ — „დინამო“ (ზუგდიდი), „ხაზარი“ — „დილა“, „არაზი“ — „ლოკომოტივი“.

### უმაღლესი ლიგა

**გათამაშების ცხრილი**
**სათადარიგო შემადგენლობანი**
**მდგომარეობა 6 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 14 | 9 | 2 | 3 | 18—6 | 20 |
| ცსკა | 14 | 7 | 6 | 1 | 20—10 | 20 |
| „ნეფთჩი“ | 14 | 7 | 5 | 2 | 17—13 | 19 |
| „დინამო“ კ. | 14 | 6 | 4 | 4 | 20—17 | 16 |
| „დინამო“ მ. | 13 | 6 | 4 | 3 | 13—8 | 16 |
| „ჩერნომორ“. | 14 | 6 | 4 | 4 | 12—15 | 16 |
| „არარატი“ | 14 | 4 | 7 | 3 | 18—14 | 15 |
| „შახტიორი“ | 13 | 5 | 4 | 4 | 14—11 | 14 |
| „ფახთაქორი“ | 14 | 4 | 5 | 5 | 14—15 | 13 |
| „ტორპედო“ | 14 | 4 | 4 | 6 | 18—13 | 12 |
| „ლოკომოტ“. | 13 | 4 | 4 | 5 | 12—19 | 12 |
| „ზარია“ | 13 | 3 | 5 | 5 | 14—21 | 11 |
| „ქაირათი“ | 14 | 3 | 3 | 8 | 13—20 | 9 |
| „დნეპრი“ | 14 | 1 | 7 | 6 | 13—18 | 9 |
| „სპარტაკი“ | 14 | 2 | 4 | 8 | 8—5 | 8 |
| „ზენიტი“ | 12 | 2 | 4 | 6 | 8—17 | 8 |

# 11 ივლისს ციურიხში

**როგორც** უეფა-ს სამდივნო იუწყება, 11 ივლისს ციურიხში გაიმართება ფეხბურთში სამივე ძირითადი ევროპული ტურნირის (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასები) პირველი წრის მონაწილეთა წილისყრა.

აქვე მოეწყობა ჭაბუკთა ევროპის არაოფიციალური პირველობის (უეფა-ს ტურნირი) მონაწილეთა წილისყრა. ეს შეჯიბრება 1979 წელს მოეწყობა ავსტრიაში.



სურათზე: სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი — საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

გ. ხანაიას ფოტო.



# ფინალური მატჩის ირგვლივ

**ჰააგა.** „დამსხვრეული ოცნებები“ — ასე უწოდა ჰოლანდიის პრესამ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს. ყველა მიმომხილველი აღნიშნავს არგენტინელთა ღირსეულ გამარჯვებას და მარიო კემპესის დიდ როლს თავისი გუნდის წარმატებაში. ამსტერდამის „დე ფოლკსკრანტი“ წერს: „თუ ფინალური მატჩის დაწყებამდე ჯერ კიდევ არ იყო შეწყვეტილი დავა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის თაობაზე, აქ მ. კემპესმა დამსახურებულად მოიგო გადამწყვეტი ბრძოლა ამ ტიტულისთვის. მისმა სამმა სოლურმა გარღვევამ ჰოლანდიის გუნდი მუხლებზე დააჩოქა“.

„დე ტელეგრაფი“ აღნიშნავს: „ჰოლანდიის გუნდს ჰქონდა შანსები, მაგრამ ვერ დაისაკუთრა თასი. თუ ჭეშმარიტების გამოსარკვევად საჭიროა ობიექტური გამონგარიშებები, გადამწყვეტი უპირატესობა არგენტინელებს უნდა მიენიჭოს. მათ ჰყავთ ფორვარდები, რომლებსაც გოლის გასატანად ნაკლები შანსი ესაჭიროებათ, ვიდრე ჰოლანდიელებს“.

გაზეთი „ალგემეენ დაგბლადი“ აღნიშნავს, რომ ჰოლანდიელებს აშკარად უღალატა ბედმა 90-ე წუთზე, როცა რენსენბრინკმა ძელს მოახვედრა ბურთი: „ორიოდე სანტიმეტრი და არგენტინელთა საქმე გათავებული იყო“.

**ლონდონი.** „კემპესის გარეშე არგენტინის ნაკრები ორდინარული გუნდი იყო, — წერს ნ. ფოქსი „ტაიმსში“, — მასთან ერთად კი არგენტინელები მსოფლიო ჩემპიონები არიან“.

ყველა გაზეთი სათანადოს მიუზღავს ჰოლანდიის ნაკრებს, რომელმაც საყოველთაო მოწონება ჰპოვა გაბედული, ენერგიული თამაშით და ნათელი ტალანტებით.

„დეილი ტელეგრაფი“ ფინალურ მატჩს მაღალ სპორტულ შეფასებას აძლევს და აღნიშნავს, რომ არგენტინელთა წარმატება განაპირობა მარიო კემპესის ოსტატობამ.

# ორი საყურადღებო ნაშრომი

### ჭადრაკი

**საჭადრაკო** ლიტერატურას ამ ბოლო დროს ორი საყურადღებო ნაშრომი შეემატა: ვ. ლინდერის „დიდოსტატებად არ იბადებიან“ (მოსკოვი, 1977 წ.) და ბ. ტუროვის „საჭადრაკო შემოქმედების მარგალიტები“ (მოსკოვი, 1978 წ.).

### „დიდოსტატებად არ იბადებიან“

ახალგაზრდა ლიტერატორმა და მოჭადრაკემ ვ. ლინდერმა დაწერა ჭადრაკზე საკითხავი წიგნი რუსული ენის შემსწავლელ გერმანელთათვის. ავტორმა ორიგინალურად ააგო თხრობა ჭადრაკის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. თითქოს ელემენტარულ საკითხებზე საუბრობენ წიგნის გმირები — ოთხი ჭადრაკის მოყვარული ჭაბუკი, მაგრამ ყურადღებით უსმენ მათ. მაგალითად, ვის არ დააინტერესებს თავები „2000 წლის ჩემპიონები“, ან „XXII საუკუნის მატჩი“, რომლებშიც საუბარია თანამედროვე მეცნიერებათა მიღწევების ფონზე ჭადრაკის მომავალზე.

ქართველ მკითხველს გაახარებს ქვეთავი „ჭადრაკის დედოფლები“. მასში ქებით მოხსენიებული არიან ჩვენი სახელოვანი დიდოსტატი ქალები. მოთავსებულია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის პორტრეტი და შთამბეჭდავად მოგებული პარტია რ. სერვატთან დორტმუნდის 1974 წლის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, დასტამბულია მ. ჩიბურდანიძის პარტია ო. ანდრეევასთან (თბილისი, 1973 წ.), რომელშიც ახალგაზრდა მოჭადრაკემ გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ სპეციალური პრიზი მიიღო. მოთავსებულია აგრეთვე, ნ. ალექსანდრიას მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის დროინდელი ფოტო მ. შულთან.

ვ. ლინდერი სწორად აღნიშნავს, რომ ჩვენი მოჭადრაკე ქალების წარმატებები მწვრთნელების თავდადებული მეცადინეობის შედეგია. მაგრამ ცდება, როცა ამბობს, რომ ჩვენი სამივე დიდოსტატი ჭადრაკის სასახლის აღზრდილია.

და ბოლოს, წიგნს დართული აქვს კომენტარები გერმანულ ენაზე. რატომ არ შეიძლება ეს სასარგებლო წიგნი გამოიცეს რუსული ენის შემსწავლელი ქართველი ჭადრაკის მოყვარულთათვის.

### „საჭადრაკო შემოქმედების მარგალიტები“

ყველა დიდ მოჭადრაკეს მოეძებნება შემოქმედებითი მარგალიტები — ღრმადშინაარსიანი, ლამაზი პარტიები. საჭადრაკო ჟურნალისტმა ბ. ტუროვმა გადაწყვიტა შეეკრიბა მსოფლიო ჩემპიონებისა და პრეტენდენტების თითო ასეთი პარტია და ერთად გამოეცა. მაგრამ დიდ სიძნელეს წააწყდა. რომელი პარტია აერჩია მაგალითად. მ. ტალს „ლამაზი თამაშისთვის“ 100 პრიზირებული პარტია აღმოაჩნდა. მაგრამ ბ. ტუროვმა პირადად თხოვა ჩემპიონებსა და პრეტენდენტებს დაესახელებინათ თითო საუკეთესო პარტია და კომენტარიც დაეწერათ. გარდაცვლილი მოჭადრაკეების პარტიები თავად ამოარჩია ძველი ჟურნალებიდან და სატურნირო კრებულებიდან. ასე შეაგროვა 42 პარტია.

წიგნს მიმზიდველობა შემატა თითოეულ ჩემპიონსა და პრეტენდენტზე დაწერილმა ეტიუდმა, რომელნიც მათს პარტიებს წაუმძღვარა.

წიგნში წარმოდგენილია სამი უგვირგვინო ჩემპიონი (ლაბურდონე, ანდერსენი, მორფი), 14 მსოფლიო ჩემპიონი, მათგან ორნი (ვ. მენჩიკი, ნ. გაფრინდაშვილი) ქალთა შორის, და 25 პრეტენდენტი (ყველა ფოტოთი).

ნ. გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ წერილში ავტორმა შეძლო მკაფიოდ ეჩვენებინა მისი დიდი დამსახურება თანამედროვე მოჭადრაკე ქალთა მოძრაობის განვითარებასა და ქალთა და ვაჟთა ჭადრაკის დაახლოების საქმეში. ჭადრაკის დედოფლის შემოქმედება წარმოდგენილია პრეტენდენტთა 1961 წლის ტურნირში მ. ლაზარევიჩთან შთამბეჭდავად მოგებული პარტიით.

„საჭადრაკო შემოქმედების მარგალიტებს“ ყველა კმაყოფილებით წაიკითხავს, მაგრამ ძალიან პატარაა მისი ტირაჟი, ეს მაშინ, როცა საბჭოთა ქვეყანაში 4 მილიონი მოჭადრაკეა.

**თ. გიორგაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონის გეგმები

**ბერლინი.** „სპორტის წყალთა სახეობებში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ნათელყოფს, რომ ცურვაში შეიძლება არსებული საუკეთესო მიღწევების გაუმჯობესება“, — ადნ-ის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა ანდრეა პოლაკმა.

1961 წლის 8 მაისს შვერინში დაბადებულმა გოგონამ 6 წლისამ ისწავლა ცურვა. 10 წლის ასაკში, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად ბერლინში გადავიდა, იგი ეწვია „დინამოს“ აუზს, სადაც იმ დროს სპეციალურად შერჩეულ ჯგუფს ავარჯიშებდა გდრ-ის ცნობილი მწვრთნელი როლფ გლეზერი.

საერთაშორისო სარბიელზე ანდრეა პირველად გამოვიდა 1975 წელს, როცა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში თავისი საყვარელი სტილით, ბატერფლაით III ადგილზე გავიდა 100 მეტრზე და IV ადგილზე — 200 მეტრზე ცურვაში. რამდენიმე თვის შემდეგ პოლაკი გდრ-ის ნაკრების შემადგენლობაში ჩარიცხეს და 1976 წლის მაისში იგი უკვე ტალინში გამართულ სსრ კავშირი — გდრ-ის მატჩში მონაწილეობდა.

ოლიმპიურ, 1976 წელს, გოგონა სწრაფად ოსტატდებოდა და მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე მისი გამგზავრება ეჭვს არ იწვევდა. იქ 15 წლის ანდრეამ მოიპოვა „ოქრო“ 200 მეტრზე და „ვერცხლი“ — 100-მეტრიან დისტანციაზე. ერთი წლის შემდეგ იონჩეპინგის (შვეცია) ევროპის ჩემპიონატში თავის წარმატებათა კოლექცია ბატერფლაით 100 მეტრზე გამარჯვებით შეავსო: მის ბრწყინვალედ აწყობილ სპორტულ ბიოგრაფიას მხოლოდ მსოფლიო რეკორდი აკლდა. და აი, სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრებთა ლენინგრადის მატჩში დაამყარა მსოფლიო მიღწევა თავისი საყვარელი სტილით 200 მეტრზე ცურვაში — 2.11,20. მან დაამხო ძველი რეკორდი, რომელიც მის მეგობარს როზემარი გაბრიელ-კოტერს ეკუთვნოდა.

აი, რა თქვა სპორტსმენმა თავის გეგმებზე: „ამ სეზონის კულმინაცია იქნება მსოფლიო ჩემპიონატი. ძალიან ინტენსიურად ვემზადები ამ შეჯიბრებისთვის. ოლიმპიურ ჩემპიონს არ შეიძლება ჰქონდეს უმაღლესი ტიტულის მოპოვების გარდა სხვა მიზანი. გასაგებია, რომ მსურს ყოფნა იმ ნაკრებში, რომელიც გაემგზავრება მოსკოვის ოლიმპიადაზე“.

მომავალ დიდ ტურნირებში გამარჯვებულთა შესაძლებელ შედეგებსა და კონკურენციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა თქვა: „ჩემის აზრით, დასავლეთ ბერლინში ოქროს მედლის მოსაპოვებლად საჭირო იქნება 100 მეტრის წუთზე ნაკლებ დროში, ალბათ, 59,5 ან 59,4 წამში გაცურვა, 200-მეტრიან დისტანციაზე პროგრესის მეტი რეზერვი ჩანს. შესაძლოა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მოსკოვში 200 მეტრი ბატერფლაის სტილით 2.08-ში დაფაროს.

ამასთან, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ის, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში კონკურენცია უფრო მძაფრია, ამიტომ დისტანციებზე ბრძოლა მოცურავისგან მთელი ძალის დაძაბვას მოითხოვს.

საბჭოთა მოცურავეებზე ანდრეამ აღნიშნა, რომ: „მონრეალის თამაშების შემდეგ სსრ კავშირში ცურვა შესამჩნევად განვითარდა. ამასთან, არა მარტო ვაჟებს შორის, არამედ ქალებში. ამაში ჩვენ დავრწმუნდით ჩვენი ქვეყნების ნაკრებთა ტრადიციულ მატჩში. შთამბეჭდავია ის, რომ საბჭოთა გოგონებმა II და III ადგილები დაიკავეს თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში“.

თავის სპორტულ „მოვალეობებთან“ ერთად ანდრეა არ ივიწყებს სკოლაში სწავლასაც. „უპირველეს ყოვლისა მინდა X კლასი დავამთავრო კარგი ნიშნებით. თუმცა, ჯერჯერობით არ ვიცი სად გავაგრძელებ სწავლას. ყოველ შემთხვევაში, სპორტის ერთგული დავრჩები და ვეცდები მივიღო „სპორტული პროფესია“. (საკდესი).

# ლონდონი: 1988 წლის ოლიმპიადის დედაქალაქი?

**ლონდონი.** ადგილობრივ საქალაქო მუნიციპალიტეტს განზრახული აქვს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შესთავაზოს ინგლისის დედაქალაქის კანდიდატურა 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად. ამის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა გაზეთმა „ივნინგ სტანდარდმა“.

მუნიციპალური ხელმძღვანელობა აპირებს ახალი ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისთვის, რომლებიც ლონდონის ცენტრთან აიგება, გამოჰყოს 50 ათასი გირვანქა სტერლინგი (90000 დოლარი). საქალაქო მუნიციპალიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰ. კატლერმა გაზეთის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა რეალურად გრძნობს იმ სიძნელეებს, რომლებიც აუცილებლად წამოიჭრება ოლიმპიური მშენებლობის დროს. მაგრამ მან იმედი გამოთქვა, რომ შემდგომში ახალი სპორტული ნაგებობები დიდ მოგებას მოიტანს.

კატლერმა აღნიშნა, აგრეთვე, რომ ლონდონის 35 ათასი უმუშევრიდან, დაახლოებით 15 ათასი იშოვნის სამუშაოს ოლიმპიური მშენებლობის პერიოდში.

ლონდონში ორჯერ — 1908 და 1948 წლებში ჩატარდა ოლიმპიური თამაშები. (საკდესი).



**მატჩ-რევანშის მოლოდინში...**

**15 სექტემბერს,** ნიუ ორლეანში (აშშ) მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდ გადახურულ სტადიონზე, რომელიც 100 ათას მაყურებელს იტევს, გაიმართება მსოფლიო ჩემპიონ ლეონ სპინქსისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მუჰამედ ალის მატჩ-რევანში.

**სურათზე** ალბექდილია მუჰამედ ალისა და ლეონ სპინქსს შორის ამასწინანდელი შეხვედრის ფრაგმენტი. იგი გაიმართა ლას-ვეგასში (ამერიკის შეერთებული შტატები) და გაიმარჯვა სპინქსმა.

# ჰოლანდია — არგენტინა 3:0

ჰოლანდიელ ფეხბურთელთა ამასწინდელ მარცხისთვის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თავისებური რევანში აიღო ჰოლანდიის ჩოგბურთის ვეტერანმა, 34 წლის ტ. ოკერმა. მან უიმბლდონის ტურნირის მესამე წრეში გაანადგურა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, არგენტინელი გ. ვილასი — 6:3, 6:4, 6:2. არგენტინელთან ორთაბრძოლა ოკერმა ძალზე კარგად ჩაატარა. იგი ყოველგვარ ქებას იმსახურებს. „მფრინავი ჰოლანდიელის“ გამარჯვება ბევრისთვის მოულოდნელი იყო. მიმდინარე სეზონში ოკერს წარუმატებლობა თან სდევს. მან განაცხადა, რომ ვილასთან შეხვედრაზე უფრო მეტი ჟურნალისტი მოვიდა, ვიდრე მის ყოველ წინა გამოსვლაზე მაყურებელი.

ტურნირის ფავორიტს შვედ ბ. ბორგს გაუჭირდა: მეოთხე ხელზე იგი ჩილელ დ. ფილოლთან 0:2 აგებდა. შვედმა ნებისყოფის უდიდესი დაძაბვის ფასად შესძლო გარდატეხა შეეტანა მატჩში და დაემარცხებინა მეტოქე — 6:4, 6:2, 6:8, 6:4. როგორც სპეციალისტები თვლიან, ბორგი ჯერ ვერაა თავის საუკეთესო ფორმაში.

თითქმის სამ საათს გაგრძელდა ამერიკელების ჯ. კონორსისა და ტ. გორმანის შეხვედრა. გაიმარჯვა კონორსმა — 6:4, 8:6, 8:9, 6:3.

მერვედფინალში გასასვლელად ამერიკელებმა ვ. გერულაიტისმა, ს. მაიერმა, რ. ტანერმა და ტ. გალიკსონმა შესაბამისად დაამარცხეს თანამემამულეები შ. სტიუარტი, მ. რისენი, ფ. მაკნერი, ბ. მარტინი.

მექსიკელმა რ. რამირესმა მოუგო ავსტრალიელ რ. ფროლს, ამერიკელმა ტ. ლეონარდმა — ბ. ფეირლის (ახალი ზელანდია), ავსტრალიელმა დ. ალექსანდერმა — ინდოელ ა. ამრიტრაჯს ამერიკელმა ბ. გოტფრიდმა — ავსტრალიელ ა. სტოუნს. ავსტრალიელების ჯ. ნიუკომბისა და ფ. დენტის შეხვედრაში გამარჯვება პირველის მხარეზე იყო.

ტურნირის ლიდერებმა — ამერიკელებმა ქ. ევერტმა და ბ. ჯ. კინგმა დაამარცხეს შესაბამისად ამერიკელი ლ. დიუპონი — 6:1, 4:6, 6:0 და ჩეხოსლოვაკიელი რ. ტომანოვა — 4:6, 6:3, 6:3.

# იუგოსლავიის ნაკრები ემზადება

**ბელგრადი.** ევროპის ჩემპიონი, იუგოსლავიის კალათბურთელთა ნაკრები შეუდგა მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც წლეულს ოქტომბერში მანილაში (ფილიპინები) გაიმართება. გუნდის მწვრთნელმა ა. ნიკოლიჩმა დაასახელა ეროვნული ნაკრების კანდიდატები. ესენი არიან: ცენტრის მოთამაშეები — ქ. ერკოვი (25 წლის, სიმაღლე — 208 სმ), კ. ჩოსიჩი (30, 210), რ. ქიკიჩი (23, 210), რ. რადოვანოვიჩი (22, 210), ა. კნეგო (22, 205); თავდამსხმელები: დ. დალიპაგიჩი (27,196), ჟ. ვარაიჩი (27, 202), დ. კრსტულოვიჩი (25, 201), ს. სუბოტიჩი (22 201); მცველები: დ. კიჩანოვიჩი (24, 191), მ. დელიბაშიჩი (24, 197), ზ. სლავნიჩი (29, 181), ბ. სკროჩე (23, 193), პ. ვილფანი (20, 190); სათადარიგო: დ. პაელიჩევიჩი (21, 191), მ. ნაკიჩი (23, 203), ჟ. კოპრივიცა (22, 207).

სავჭვოა, იუგოსლავიის ნაკრების ვეტერანის კ. ჩოსიჩის მონაწილეობა ჩემპიონატში. იგი ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის პროფესიულ კლუბ „ბოსტონ სელტიკსთან“ იქ გადასვლის თაობაზე. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
(აკ. წერეთლის პრ. №2)

8 და 9 ივლისი

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის ჩემპიონატი
„დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)

8 ივლისი
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.

9 ივლისი
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე — 6 და 7 ივლისს 10 საათიდან; საერთო გაყიდვა 8 და 9 ივლისს 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი უამინდობის შემთხვევაში ჩატარდება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ 26-ე ტირაჟისა, რომელიც 1 ივლისს მოსკოვში მოეწყო:

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 3685 მანეთია, ოთხისთვის — 71, სამისთვის — 4.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 96, სამისთვის — 5.

მოგებული თანხა გაიცემა 12 ივლისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 27-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო“: 11 (ველოსპორტი), 14 (ფრენბურთი), 30 (აფროსნობა), 38 (მშვილდოსნობა), 40 (ტურიზმი), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 47 (ბურთიანი ჰოკეი).

„სპორტლოტო-2“: 5 (ბადმინტონი), 9 (ჭიდაობა), 10 (საბუერო სპორტი), 35 (სპიდვეი), 40 (ტურიზმი), 43 (ფარიკაობა). შეღავათიანი ბურთულა — 36 (სლალომი).



**სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!**

„სპორტლოტოს“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო გაცნობებთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური ლატარიის ბარათების რეალიზაციის ვადა გაგრძელებულია 1978 წლის 10 ივლისამდე.

საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს პირველი ტირაჟი გაიმართება 1978 წლის 19 ივლისს ქ. მოსკოვში. ტირაჟი ნაჩვენები იქნება სპეციალური სპორტულ-გასართობი პროგრამის შემდეგ ინტერვიზიის სისტემით, რომელიც ემღვნება „ოლიმპიადა-80“-ს.

შეგახსენებთ, რომ ახალ ლატარიაში ყველა გამარჯვებული (რომელიც გამოიცნობს 6 ციფრს, ან მოიგებს საგზურს XXII საზაფხულო ოლიმპიადაზე დასასწრებლად), მიიღებს „ჟიგულის“ მარკის მანქანის ურიგოდ გამოყვანის ტალონს.

მიიღეთ მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიურ ლატარიაში!

**საქსპორტლოტო.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-59; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.